ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 49

ქ. თბილისი 2019 წელი

ერთი მხრივ, **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი აპარატის უფროსის **ზურაბ მებონია** სახით და მეორე მხრივ, **შპს "პისიშოპ.ჯი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზურაბ ხორგუაშვილის** სახით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების შესყიდვის საგანს წარმოადგენს (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით) **"ტელევიზორები"-ს (CPV კოდი: 3232400)** შესყიდვა ("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **918 (ცხრაას თვრამეტი)** ლარს.

2.2 შესასყიდი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს **ერთი ტელევიზორი JVC- 459 ლარი.**

2.3 შესასყიდი საქონლის რაოდენობაა: **2 ცალი.**

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან ან ანგარიშ-ფაქტურის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული დოკუმენტების გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას #16.

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 10 ივლისამდე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი: დ. ჟვანია. ი. ზუხბაია.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4 მიწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისამებრ განახორციელოს საქონლის მიწოდება. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 აგვისტომდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	შპს "პისიშოპ.ჯი"
მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #16	მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #18
საიდენტიფიკაციო კოდი 249250484	საიდენტიფიკაციო კოდი 205198481
სახელმწიფო ხაზინა	სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ა/ა № GE71TB4088936020100006
ტელ: 237 44 16	ტელ: 292 19 59
---	---
აპარატის უფროსი	დირექტორი
ზურაბ მებონია	ზურაბ ხორგუაშვილი

THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
Digitally signed by THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
Date: 2019.07.02 16:08:55 +04'00'

PCSHOP. GE LLC
Digitally signed by PCSHOP.GE LLC
Date: 2019.07.03 11:24:21 +04'00'